საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №53/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2020 წლის 18 ივნისის №53 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 22 ივნისის №296/53-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 12 აგვისტოს №53/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ -- -- უხეშად დაარღვია მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი. საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ჩაერია სხვა მოსამართლის საქმიანობაში და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ უკანონოდ მოახდინა უკვე განაწილებული საქმის გადანაწილება სხვა მოსამართლეებზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი ადმინისტრაციული სამართლის საქმე განსახილველად ჰქონდა -- --, -- -- და -- --, თუმცა -- -- შეცვალა სასამართლოს შემადგენლობა და მათ ნაცვლად პალატის შემადგენლობაში შეიყვანა ახლად დანიშნული მოსამართლეები -- -- და -- --, რომლებმაც საქმეზე განმეორებით განიხილეს დასაშვებობის საკითხი.

საქმის განაწილებაში უკანონოდ ჩარევით მოსამართლე -- -- არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული პალატის თავმჯდომარის მოვალეობა. ვინაიდან -- -- და -- -- 2019 წლის 22 ოქტომბრის განჩინებას ხელს აწერდნენ, ხოლო -- -- განსხვავებულ გადაწყვეტილებას წერდა, პალატის თავმჯდომარემ საქმის განხილვა მიანდო ახალ შემადგენლობას. სწორედ აღნიშნული ქმედების გამო არ დაკმაყოფილდა საჩივრის ავტორის საკასაციო საჩივარი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2016 წლის 5 აგვისტოს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხე საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ და მოითხოვა მოსარჩელე -- -- თანამდებობიდან გათავისუფლების

შესახებ საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის №-- ბრძანების ბათილად ცნობა. მოსარჩელე -- -- ასევე მოითხოვა ახალი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა, თანამდებობაზე აღდგენა და განაცდური ხელფასის ანაზღაურება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე. დაყოვნებული თანხის სრულად გადახდამდე, საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის თანხის 0,007 პროცენტის გადახდის დავალება. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2.2. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- 2019 წლის 1 მარტს. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ივნისის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება.

2.3. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა -- -- 2019 წლის 5 აგვისტოს. -- -- საკასაციო საჩივარში ასევე მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 20 ივნისისა და 26 ივნისის განჩინებების გაუქმება და საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის გადაცემის შესახებ იშუამდგომლა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე -- -- 2019 წლის 16 სექტემბრის განჩინებით -- -- შუამდგომლობა აღნიშნული ადმინისტრაციული საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის განსახილველად გადაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, წარმოებაში იქნა მიღებული -- -- საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების -- -- და -- -- 2019 წლის 25 სექტემბრის განჩინებით -- -- შუამდგომლობა მოსამართლე -- -- აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების: -- --, -- -- და -- -- 2019 წლის 25 სექტემბრის განჩინებით -- -- 2019 წლის 23 სექტემბრის №-- განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის აცილების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2019 წლის 12 ნოემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე -- -- თანაშემწის -- -- წერილით -- -- ეცნობა, რომ -- -- საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა დაგეგმილი იყო 2019 წლის 22 ოქტომბერს.

2019 წლის 30 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის მწერალ თანაშემწის -- -- წერილით -- -- ეცნობა, რომ მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეთა შემდეგი შემადგენლობა: -- --, -- --, -- --.

2020 წლის 22 იანვარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მეორე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, სამართლებრივი მხარდაჭერის ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსის -- -- წერილით -- -- ეცნობა, რომ -- -- საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვა ჩანიშნული იყო 2019 წლის 22 ოქტომბერს ზეპირი მოსმენის გარეშე. აღნიშნულ მოსმენაზე გადაწყვეტილება არ იქნა გამოტანილი, რის გამოც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით საქმე დაბრუნდა დასაშვებობის საკითხის განსახილველად მომზადების ეტაპზე. იმავე წერილით -- -- განემარტა, რომ საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 12 დეკემბერს დადგენილებით საქართველოს უზენაეს სასამართლოში აირჩია მოსამართლეები. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 დეკემბრის პლენუმის დადგენილებით ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა დაკომპლექტდა ახალი შემადგენლობით. აღნიშნულ მოსამართლეებს კანონით დადგენილი მოსამართლის უფლებამოსილების გათვალისწინებით უფლებამოსილება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საქართველოს

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის, მათ შორის, მომხსენებელი მოსამართლე - -- -- წარმოებაში არსებული საქმეების განხილვაში. ამასთან, -- -- ეცნობა, რომ მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს განიხილავდნენ -- --, -- -- და -- --.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეების: -- --, -- -- და -- -- 2020 წლის 17 იანვრის განჩინებით -- -- 2020 წლის 14 იანვრის შუამდგომლობა - საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის კოლეგიური შემადგენლობის მოსამართლეთა: -- --, -- -- და -- -- აცილების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეების: -- --, -- -- და -- -- 2020 წლის 5 მარტის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ივნისის განჩინება, -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 20 ივნისის განჩინება და -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივნისის განჩინება.

2.4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ 2020 წლის 30 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია №-- ადმინისტრაციული სამართლის საქმის საკასაციო ინსტანციის სასამართლოში განაწილების თაობაზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2020 წლის 2 ივლისის 191-ი წერილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს ფარგლებში მოძიებული იყო შემდეგი პროგრამული ქმედებები: საქმის შესვლის თარიღი - 09.09.2019, 11:29; საქმის განაწილების თარიღი - 09.09.2019, 14:54; საქმის განაწილების პრინციპი - წესის გარეშე (პირდაპირი განაწილება); მოსამართლე -- --; საქმის მოსამართლის მიმდინარე სტატუსში გადატანის თარიღი - 16.09.2019, 11:51; საქმის მოსამართლის დასრულების სტატუსში გადატანის თარიღო - 07.11.2019, 16:03; საქმის დაბრუნება მეორე ინსტანციაში - 11.03.2020 12:42.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 12 აგვისტოს დასკვნა:

-- -- 2020 წლის 18 ივნისის №53 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული უფლებამოსილების, კერძოდ, სასამართლოს, სასამართლო კოლეგიის ან პალატის ხელმძღვანელის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება“, ხოლო „ბ.ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ სასამართლოში საქმეთა განაწილებაში უკანონო ჩარევა.

უნდა აღნიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლი ადგენს ასევე დისციპლინური გადაცდომის არსებობისათვის სავალდებულო სხვა კუმულატიურ წინაპირობებს და მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომრიცხველ ზოგად გარემოებებს. ამდენად, მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დასადასტურებლად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1

მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტებში ჩამოყალიბებული წინაპირობების მიღმა, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სხვა გარემოებები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რაიონულ (საქალაქო), სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები ნაწილდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესს ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პლენუმი უფლებამოსილია უზენაესი სასამართლოს პლენუმის წევრის წარდგინებით აირჩიოს უზენაესი სასამართლოს პალატების შემადგენლობები და თავმჯდომარეები.

მნიშვნელოვანია, რომ ვენეციის კომისია 2014 წლის 14 ოქტომბრის დასკვნაში პირდაპირ უთითებს, რომ სასამართლოს თავმჯდომარეების უფლებამოსილება, გაანაწილონ საქმეები მოსამართლეთა შორის, დისკრეციის ელემენტებს გულისხმობს, რაც შეიძლება ბოროტად იქნას გამოყენებული, როგორც მოსამართლეზე ზემოქმედების საშუალება, მაგალითად მოსამართლის ზედმეტად დატვირთვა დიდი რაოდენობის საქმეებით, ან მოსამართლისთვის მხოლოდ მცირე მნიშვნელობის საქმეების მიცემა. სასამართლოში საქმეთა განაწილება უნდა მიჰყვებოდეს წინასწარ დამკვიდრებულ ობიექტურ კრიტერიუმს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პირის უფლება, მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა მოსამართლემ. ამ გადაწყვეტილებაზე არ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს საქმის მხარემ ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც რაიმე ფორმით დაინტერესებულია საქმის შედეგით .

ამ და სხვა რეკომენდაციის გათვალისწინებით სასამართლო სისტემის მესამე ტალღის რეფორმის შედეგად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელდა ცვლილება. ორგანულ კანონს დაემატა 58[1] მუხლი, რომელიც აწესრიგებს საქმეთა განაწილების წესს. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, ცვლილების ამოქმედების შემდეგ საქმეთა განაწილება მოხდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, საქმეთა თანაბარი და შემთხვევითი განაწილების პრინციპების დაცვით.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი“, რომლითაც რეგულირდება სისტემის მეშვეობით მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილება შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, რიცხვების გენერირების ალგორითმის საფუძველზე.

საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის უმთავრეს მიზანს საქმეთა შემთხვევითი განაწილება წარმოადგენს, თუმცა სისტემამ ფორმალურად უზრუნველყო ასევე სასამართლოს თავმჯდომარეების მხრიდან საქმეთა განაწილების უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება, საქმეთა განაწილების პროცესიდან მათი დისტანცირება და მოსამართლეთა მეტ-ნაკლებად თანაბარი დატვირთულობა.

„საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილება, გარდა ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხორციელდება შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით,

რიცხვების გენერირების ალგორითმის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შემთხვევითი განაწილების პრინციპი გულისხმობს ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქმის განაწილებას ამ წესით დადგენილი პროცედურის დაცვით ავტომატურად შერჩეულ შესაბამისი კოლეგიის/პალატის/ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეზე. ამავე გადაწყვეტილების მე-3 მუხლი განაწილების პრინციპიდან საგამონაკლისო განაწილების წესს ადგენს. ამავე წესის მე-4 მუხლის 8[1] პუნქტის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმეები ნაწილდება შესაბამისი პალატის/კოლეგიის/ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის, ხოლო მე-9 პუნქტის თანახმად სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვისას საქმე ნაწილდება სხდომის თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე.

დადგენილია, რომ -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 27 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა -- -- 2019 წლის 5 აგვისტოს. საქმე განსახილველად გადაეცა -- -- (თავმჯდომარე/მომხსენებელი), პალატის შემადგენლობაში შევიდა -- -- და -- --.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2019 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით საქართველოს პარლამენტმა საქართველოს უზენაეს სასამართლოში აირჩია მოსამართლეები. 2019 წლის 16 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმმა, საკასაციო სასამართლოში ახალი მოსამართლეების არჩევიდან გამომდინარე, დადგენილებით ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა დაკომპლექტდა ახალი შემადგენლობებით. შესაბამისად, -- -- შემადგენლობაში შევიდა მოსამართლეები -- -- და -- --.

აღსანიშნავია, რომ პალატების შემადგენლობებს ორგანული კანონით დადგენილი წესით პლენუმი ადგენს, ხოლო საქმეები ნაწილდება არა პალატებზე, არამედ კონკრეტულ მოსამართლეებზე. შესაბამისად, ვინაიდან საქმეზე მომხსენებელი მოსამართლე ისევე როგორც პალატის თავმჯდომარე იყო -- --, პლენუმის ახალი დადგენილების შესაბამისად შეიცვალა მხოლოდ პალატის შემადგენლობა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე -- --, როგორც პალატის თავმჯდომარე, ვერ გაანაწილებდა საქმეს ვინაიდან აღნიშნული საკასაციოს საჩივარი განაწილებული იყო მოსამართლე -- --, ხოლო პლენუმის გადაწყვეტილებით მხოლოდ პალატის შემადგენლობა იქნა შეცვლილი.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რვა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები (აცილების საფუძვლებიდან გამომდინარე მოსამართლე -- -- კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია).

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №53/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი